თავისუფალი და სამართლიანი არჩევნებისთვის უწყებათაშორისი კომისიის

სხდომის ოქმი №4

თბილისი, 26 აგვისტო, 2024

სხდომას ესწრებოდნენ:

თავისუფალი და სამართლიანი არჩევნებისთვის უწყებათაშორისი კომისიის (შემდგომ – კომისია) წევრები:

- თორნიკე ჭეიშვილი – კომისიის თავმჯდომარის მოადგილე, საქართველოს იუსტიციის მინისტრის მოადგილე;
- მანანა ბეგიაშვილი – კომისიის მდივანი, საქართველოს იუსტიციის სამინისტროს ადმინისტრაციის (დეპარტამენტი) უფროსი;
- ალექსანდრე დარახველიძე – საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილე;
- მიხეილ დუნდუა – საქართველოს ფინანსთა მინისტრის მოადგილე;
- გიორგი ცაგარეიშვილი – საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის მოადგილე;
- გელა გელაძე – საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის მინისტრის მოადგილე;
- ნატო ზაალიშვილი – სახელმწიფო აუდიტის სამსახურის იურიდიული დეპარტამენტის უფროსი;
- ნათია მერებაშვილი – საქართველოს გენერალური პროკურორის მოადგილე;
- გიორგი კვარაცხელია – სპეციალური საგამოძიებო სამსახურის უფროსის პირველი მოადგილე;
- გოგი ჩიქოვანი – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური ინსპექციის უფროსი;

კომისიის სამდივნოს წევრები:

- ლანა ბათლიძე – საქართველოს იუსტიციის სამინისტროს ადმინისტრაციის (დეპარტამენტი) უფროსის მოადგილე (პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელის მოადგილე);
- თორნიკე არჯევანიძე – საქართველოს იუსტიციის სამინისტროს ადმინისტრაციის (დეპარტამენტი) მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი;
- მარიამ ნიშნიანიძე – საქართველოს იუსტიციის სამინისტროს ადმინისტრაციის (დეპარტამენტი) მესამე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი;

მოწვეული უწყებების წარმომადგენლები:

- ბაია თოლორდავა – საქართველოს თავდაცვის სამინისტროს ადმინისტრაციის უფროსი;
- გიორგი ტაბატაძე – საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს საკონსულო დეპარტამენტის დირექტორი;
- ბექა ზეგარდელი – საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის იურიდიული მთავარი სამმართველოს უფროსი;
- გიორგი სანტურიანი – ცენტრალური საარჩევნო კომისიის იურიდიული დეპარტამენტის უფროსი.

საერთაშორისო სადამკვირვებლო ორგანიზაციები:

- ნატაშა როთჩაილდი – „ეროვნულ-დემოკრატიული ინსტიტუტის“ (NDI) 2024 წლის საპარლამენტო არჩევნების გრძელვადიანი სადამკვირვებლო მისიის დირექტორი;
- თამარ ბასილაია – თარჯიმანი;
- შონ დანი – „საერთაშორისო რესპუბლიკური ინსტიტუტის“ (IRI) სადამკვირვებლო მისიის დირექტორი;
- ანა მიქაძე – თარჯიმანი.

პოლიტიკური პარტიების წარმომადგენლები:

- გივი მიქანაძე – „ქართული ოცნება – დემოკრატიული საქართველო“.

„თავისუფალი და სამართლიანი არჩევნებისთვის უწყებათაშორისი კომისიის შექმნისა და მისი დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2024 წლის 28 ივნისის №1007 ბრძანების მე-3 მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებული ნორმის – კომისიის თავმჯდომარის არყოფნის შემთხვევაში კომისიის თავმჯდომარის ფუნქციებს ასრულებს კომისიის თავმჯდომარის მოადგილე, უწყებათაშორისი კომისიის სხდომას კომისიის თავმჯდომარის მოადგილე, ბატონი თორნიკე ჭეიშვილი წარუძღვა. მან სხდომის გახსნის შემდგომ კომისიის წევრებს და მოწვეულ სტუმრებს გააცნო სხდომის დღის წესრიგი:

1. თავისუფალი და სამართლიანი არჩევნებისთვის უწყებათაშორისი კომისიის სხდომის გახსნა;
2. კომისიის წევრების მოსმენა მედიამონიტორინგის შედეგად მიღებულ ინფორმაციაზე რეაგირების შესახებ;
3. სხვადასხვა.

როგორც ბატონმა თორნიკემ აღნიშნა, 2024 წლის 26 ოქტომბრამდე დარჩენილი ზუსტად 2 თვე სწორედ იმას ნიშნავს, რომ საქართველოს საარჩევნო კოდექსით გათვალისწინებული მთელი რიგი რეგულაციებისა, მათ შორის, ადმინისტრაციული რესურსის და თანამდებობრივი მდგომარეობის გამოყენების აკრძალვის შესახებ წინასაარჩევნო მიზნებისთვის, შედის ძალაში. ეს კი გამომდინარეობს უშუალოდ საქართველოს საარჩევნო კოდექსიდან, რომლის თანახმადაც, შესაბამისი რეგულაციები ხდება აქტუალური კენჭისყრის დღემდე 60 დღით ადრე. მისი თქმით, კომისია არის ერთსულოვანი, რომ წინასაარჩევნო სააგიტაციო პერიოდმა განვლოს მშვიდ და კონსტრუქციულ გარემოში, თავიდან იქნეს აცილებული საჯარო მოსამსახურეთა მხრიდან საარჩევნო კანონმდებლობის ნორმათა დარღვევა.

დღის წესრიგის შესაბამისად, კომისიის წევრებმა მოისმინეს ცენტრალური საარჩევნო კომისიის იურიდიული დეპარტამენტის უფროს გიორგი სანტურიანის მოხსენება მედიამონიტორინგის შედეგად მიღებული ინფორმაციის – საერთაშორისო კომპანია „სმარტმატიკთან“ პარლამენტის არჩევნებში გამოსაყენებელი ტექნოლოგიების შესახებ დადებული ხელშეკრულების თაობაზე. ბატონი გიორგის თქმით, საქართველოში ტექნოლოგიების იმპლემენტაციასთან პირველი გამოცდილება იყო 2018 წელს, როდესაც ერთ-ერთ კომპანიასთან („დელიან პროექტი“) თანამშრომლობით აპარატების გამოყენებით ჩატარდა შუალედური არჩევნები. შემდეგი გამოცდილება მიღებულ იქნა 2020 წელს, როდესაც „სმარტმატიკმა“ უფასოდ გამოხატა ნება, ტექნოლოგიური პილოტირება განეხორციელებინა საქართველოში როგორც პირველ, ისე მეორე ტურში. აღნიშნულ პროცესებს მოჰყვა სხვადასხვა რიგგარეშე თუ შუალედური არჩევნები, სადაც „სმარტმატიკი“ საპილოტე რეჟიმში მუშაობდა. როგორც მომხსენებელმა აღნიშნა, ამ პროცესებმა საარჩევნო ადმინისტრაციას მისცა კარგი შესაძლებლობა, ეტაპობრივად, მიღებული გამოცდილების გამოყენებით შეემუშავებინა სრულყოფილი რეგულაციები და მოთხოვნები. ყოველივე ეს, საბოლოო ჯამში, აისახა იმ განცხადებაში, რომლითაც ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ მიმართა სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს საჯარო ბაზრის კვლევის გამოცხადების მიზნით; კვლევის შემდეგ კი, საბოლოოდ, გამოცხადებულიყო კონსოლიდირებული ტენდერი. ბატონმა გიორგიმ აღნიშნა, რომ საჯარო ბაზრის კვლევა საკმაოდ ადრე – 2023 წლის 27 აპრილს დაიწყო, როდესაც საჯაროდ გამოცხადდა, რომ საქართველოში არჩევნები უნდა გამართულიყო ტექნოლოგიების გამოყენებით. ნებისმიერ შესაბამის კომპანიას, რომელსაც ჰქონდა ინტერესი და სათანადო გამოცდილება ამ სფეროში, შეეძლო, დაეზუსტებინა გარკვეული საკითხები. მისი თქმით, სატენდერო პროცესი დაიწყო ღიად, გამჭვირვალედ, რომელიც წარიმართა სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს მიერ, რასაც არ მოჰყოლია არცერთი საჩივარი. საბოლოოდ კი, გაფორმდა კონტრაქტი კონკრეტულ შემსყიდველ ორგანიზაციასთან, რომელსაც საკმაოდ დიდი გამოცდილება აქვს სხვადასხვა ქვეყანაში.

ამასთან, ბატონმა გიორგიმ „სმარტმატიკთან“ დაკავშირებით გავრცელებული ინფორმაციის თაობაზე აღნიშნა, რომ ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ მიმართა შესაბამის კომპანიას. როგორც დადგინდა, ორ თანამშრომელთან მიმართებით მიმდინარეობს შესაბამისი სამართლებრივი პროცედურები. ამ პროცედურების განხორციელების პერიოდში ისინი

დათხოვნილი არიან სამსახურიდან და კომპანიასთან რაიმე სამართლებრივ ურთიერთობაში არ იმყოფებიან. სამსახურიდან მათი გათავისუფლება არ ეხება ტექნოლოგიებს ან კენჭისყრის პროცედურებს, მათ არც რაიმე შემხებლობა ჰქონიათ საქართველოსთან. როგორც ბატონმა გიორგიმ განმარტა, ტექნოლოგიებთან მიმართებით რაიმე კითხვის ნიშანი არ არსებობს.

ბატონმა ალექსანდრე დარახველიძემ (შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილე) მედიამონიტორინგის შედეგად მიღებულ შემდგომ ინფორმაციასთან მიმართებით, რომელიც ეხებოდა ნიკანორ მელიასთან დაკავშირებით სამტრედიაში მომხდარ ინციდენტს, განაცხადა, რომ 2024 წლის 11 აგვისტოს შინაგან საქმეთა სამინისტროს იმერეთის პოლიციის დეპარტამენტის სამტრედიის რაიონულ სამმართველოში დაიწყო გამოძიება სისხლის სამართლის კოდექსის 126-ე მუხლის პირველი ნაწილით. გამოძიებას საფუძვლად დაედო ნიკანორ მელიას მიმართ განხორციელებული თავდასხმის ფაქტი კონკრეტული პირის მხრიდან. ბატონი ალექსანდრეს თქმით, ნიკანორ მელია სამტრედიაში იმყოფებოდა პოლიტიკური პარტია „ახალის“ ოფისის გასახსნელად. გამოძიებით დადგინდა, რომ, დაახლოებით, 18:30 საათზე ქალაქ სამტრედიაში, კრავეიშვილის ქუჩა №1-ის მიმდებარე ტერიტორიაზე მყოფ ნიკანორ მელიას, რომელმაც გახსნა პარტიის ახალი ოფისი და მიმართავდა იქ მყოფ მოქალაქეებს, მოულოდნელად სამტრედიაში მცხოვრებმა ერთ-ერთმა მოქალაქემ ერთხელ დაარტყა მუშტი სახის არეში. გამოკითხვაზე მისულმა ამ კონკრეტულმა პიროვნებამ განაცხადა, რომ მას ნიკანორ მელიასთან არ აქვს პირადი უთანხმოება და არც წარსულში ჰქონია. როგორც მან აღნიშნა, მელიას ტელეეკრანებიდან იცნობს და თვლის, რომ არ არის კარგი ადამიანი. მისივე განმარტებით, საუბრის დროს ნიკანორ მელია მას უყურებდა და ჩათვალა, რომ ამ უკანასკნელმა მისი მიმართულებით გააკეთა შეურაცხმყოფელი რეპლიკა, რის გამოც შემდგომ მან მელიას მიაყენა ფიზიკური შეურაცხყოფა. მისივე განმარტებით, მუშტის დარტყმის შემდეგ იქ მყოფმა სხვა პირებმა მასაც მიაყენეს ფიზიკური შეურაცხყოფა – რამდენიმეჯერ დაარტყეს მუშტი მუცლისა და ზურგის არეში. კონკრეტულად ვინ იყო მოძალადე, არ დაუნახავს. შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილის განცხადებით, ნიკანორ მელია ამ ეტაპზე გამოკითხული არ არის, რადგან მისი ადვოკატის, მამუკა გვარამიას, განმარტებით, იგი ჩართულია საარჩევნო კამპანიაში და საგამოძიებო ორგანოში გამოკითხვის მიზნით გამოცხადდება, როცა მოახერხებს. ნიკანორ მელიას საცხოვრებელ მისამართზე და პარტიის ოფისში გაგზავნილ იქნა უწყება გამოკითხვის თაობაზე, რომელიც, სამწუხაროდ, არ

ჩაიბარეს; ასევე, შედგა სატელეფონო კომუნიკაცია ნიკანორ მელიას დედასთან, რა დროსაც ქალბატონმაც უარი განაცხადა უწყების ჩაბარებაზე; თავად ნიკანორ მელია არ პასუხობს პოლიციის სატელეფონო ზარებს და გაგზავნილ მოკლე ტექსტურ შეტყობინებებს.

როგორც მომხსენებელმა აღნიშნა, უშუალოდ საქმესთან დაკავშირებით ჩატარებულია არაერთი საგამოძიებო მოქმედება, კერძოდ, შემთხვევის ადგილის თუ სატელევიზიო სიუჟეტების დათვალიერება, საგამოძიებო ექსპერიმენტი, გამოთხოვილია ინფორმაცია, გამოკითხულია 7 მოწმე, კონკრეტულ პირთა მიმართებით დანიშნულია სასამართლო ექსპერტიზა, მიმდინარეობს გამოძიება და, შესაბამისად, ამ ეტაპზე კონკრეტული პირის მიმართ სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის საკითხი არ დამდგარა. ბატონი ალექსანდრეს თქმით, თუ ნიკანორ მელია არ ითანამშრომლებს გამოძიებასთან და არ მიაწვდის მას ინფორმაციას მის მიმართ განხორციელებული ძალადობის ფაქტთან დაკავშირებით, ძალიან გაუჭირდება გამოძიებას კონკრეტული სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის დაყენება, ვინაიდან ძალადობა იმ შემთხვევაში არის დასჯადი, თუ თავად დაზარალებულმა პირმა განიცადა ტკივილი; ხოლო ტკივილის განცდას ჰქონდა თუ არა ადგილი, ჩვენების მიცემის გარეშე ვერ დადგინდება. შესაბამისად, როდესაც ბატონი ნიკანორ მელია გადაწყვეტს საგამოძიებო ორგანოში გამოცხადებას და გამოკითხვის ფარგლებში ჩვენების მიცემას, ამის შემდეგ განხორციელდება სათანადო შემხვედრი საგამოძიებო და საპროცესო მოქმედებები.

ბატონმა გელა გელაძემ (საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის მინისტრის მოადგილე) ისაუბრა ანა ნაცვლიშვილის განცხადებასთან დაკავშირებით, რომელიც შეეხებოდა პედაგოგების საარჩევნო პროცესში შესაძლო ჩართვას. მომხსენებლის განცხადებით, სამწუხაროა ანა ნაცვლიშვილის მიერ პედაგოგების „ტროლებად“ მოხსენიება; პედაგოგები არიან აბსოლუტურად დამოუკიდებლები, საარჩევნო პროცესში მათი ჩართვის არცერთი მსგავსი ფაქტი არ დაფიქსირებულა და ისინი არიან მხოლოდ და მხოლოდ მომავალი თაობის სწორ განვითარებაზე, მათ აღზრდასა და განათლებაზე ორიენტირებულნი. რაც შეეხება მასწავლებლის ეროვნული პრემიის თარიღის ცვლილებას, ბატონმა გელამ აღნიშნა, რომ პირველად 2023 წლის დასაწყისში, განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის მინისტრის ინიციატივით, მთავრობის გადაწყვეტილებით დაწესდა მასწავლებლის ეროვნული დღე და პრემია. შესაბამისად, 27 ოქტომბერი (იაკობ გოგებაშვილის დაბადების დღე) ნამდვილად არ შეცვლილა და ყოველ წელს ამ დღეს უნდა აღინიშნოს მასწავლებლის ეროვნული დღე,

უბრალოდ, ცერემონიამ გადმოიწია მიმდინარე წლის სექტემბერში, რაკი ეს აუცილებელია საორგანიზაციო საკითხების გათვალისწინებით.

დასასრულ, ბატონმა თორნიკემ მადლობა გადაუხადა კომისიის წევრებსა და დამსწრე პირებს კომისიის მუშაობაში ჩართვისათვის.

კომისიის თავმჯდომარის მოადგილე: თორნიკე ჭეიშვილი

კომისიის მდივანი: მანანა ბეგიაშვილი